

ბანკის ოპერატორი 020454**პროფესიული სტანდარტი****I. სფეროს აღწერა**

ბანკის ოპერატორი წარმოადგენს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების ფინანსების დარგობრივი სფეროს პროფესიულ კვალიფიკაციას. ბანკის ოპერატორი არის პირი, რომელიც ქმნის ბანკის იმიჯს და ორიენტირებულია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ოპერატიულად დააკმაყოფილოს კლიენტის მოთხოვნები, მიაწოდოს მათ ინფორმაცია საბანკო პროდუქტების შესახებ და უზრუნველყოს ბანკისათვის კლიენტების მოზიდვა.

II. დასაქმების სფერო

ბანკის ოპერატორის კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ ბანკში ფიზიკური და იურიდიული პირებისმომსახურე ოპერატორის თანამდებობაზე.

III. დამატებითი მოთხოვნები:

- მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

ბანკის ოპერატორის პროფესიული განათლება არის ერთსაფეხურიანი(V). შემუშვებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგაც გაიცემა პროფესიული დიპლომი.

მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს. კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება ბანკის ოპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი.

V.ბანკის ოპერატორის პროფესიულ კვალიფიკაციათა აღმწერი

ბანკის ოპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციების აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზირებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).</p>	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • საბანკო საქმე, საბანკო მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები და კრედიტები; • ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები; • ფინანსური აღრიცხვის პრინციპები; • საქმიანი ურთიერთობების წესები; • კლიენტთა მოთხოვნების გამოვლენის ტექნიკა; • კონფლიქტურ სიტუაციებში მოქცევის წესები; • დარწმუნების მეთოდები, კლიენტების მომსახურების უნივერსალური სტანდარტები; • დოკუმენტებთან მუშაობის წესები. <p>იცნობს:</p> <ul style="list-style-type: none"> • საბანკო პროდუქტებს ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის; • ფინანსური მონიტორინგის სტანდარტებს; • საბანკო დაწესებულებაში უსაფრთხოების უზრუნველყოფის ნორმებს; • თაღლითობის თავიდან აცილების პოლიტიკას; • საბანკო სისტემების მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტებს; • დისტანციური მომსახურების მეთოდებს (MobileBanking, Internet Banking).
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • საბანკო პროდუქტების გაყიდვა; • კლიენტის დარწმუნება; • პროგრამულ კომპლექსებში მუშაობა; • კლიენტის პირველადი იდენტიფიკაცია საბანკო პროდუქტის გაფორმებისას (დეპოზიტი, პლასტიკური ბარათი, მიმდინარე ანგარიში, გზავნილი, საკრედიტო პროდუქტი და სხვა), კლიენტის ხარისხიანი მომსახურების უზრუნველყოფა, იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს-(MS OFFICE, OS WINDOWS, OS LINUX, OPEN OFFICE, INTERNET).
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია გამოკვეთილი პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • კლიენტებისა და კონკურენტების შესახებ ინფორმაციის ანალიზი; • განსხვავებულ სიტუაციებსა და შეზღუდული დროის პირობებში კლიენტურის მოთხოვნების ანალიზი და მათი შესრულების ოპტიმალური გზების ძიება.

		<ul style="list-style-type: none">• შეუძლია კონფლიქტების მართვა, დროის მართვა, სტრესთან გამკლავება, არასტანდარტულ სიტუაციაში გამოსავლის პოვნა, ინიციატივის გამოვლენა.
--	--	---